სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

34450377217420

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200464301

რეგისტრაციის თარიღი

21.07.2020 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცი წლის ოცდაერთი ივლისი. ჩემთან, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა შპს „გიკო 4“-ის (რეგისტრირებული 16.06.2009 წელს, იურიდიული მისამართი: თბილისი, სადგური ლილო (ნაკვ. 04/069), ს/ნ 205281069) დირექტორი კახაბერ ნიქაბაძე (დაბადებული 17.10.1975 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, ლისის იასამნების ქ. N5, ბინა 9, პირადი №18001005602). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს გიორგი ჯანიაშვილს (დაბადებული 20.03.1992 წელს, პირადი №01017033100) შპს „გიკო 4“-ის საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B18097406. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის ოცდაერთ ივლისს, მე, შპს „გიკო 4“-ის (ს/ნ 205281069) დირექტორი კახაბერ ნიქაბაძე (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), შემდგომში „მიმნდობი“, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ გიორგი ჯანიაშვილს (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს“, მასზედ, რომ მან წარმოადგინოს შპს „გიკო 4“-ის ინტერესები საზოგადოების კუთვნილ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N103 (ნაკვ. 04/001), ს/კ N01.19.18.004.050. აწარმოოს მშენებლობასთან დაკავშირებული საქმეები, შეათანხმოს, წარადგინოს, მიიღოს მშენებლობის პროექტები, მოახდინოს პროექტის კორექტირება, აწარმოს მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დაშენება, გადახურვა, დემონტაჟი, ღიობების ამოჭრა/შეცვლა, აიღოს საჭირო ნებართვები, თანხმობები, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, დააზუსტოს ფართი, წარადგინოს ნახაზები; იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის მერიაში, გამგეობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, ყველა არქივში, გასცეს/მიიღოს ნებისმიერი თანხმობა, აწარმოოს უკანონო შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება/დაკანონება, წარადგინოს დოკუმენტები ელექტრონულად, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები, გამოითხოვოს, მიიღოს, წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, ამონაწერები, შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან უძრავი ნივთის განკარგვის უფლების გარეშე.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B18097406.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 10.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1.80 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 13.80 ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი